საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიონული კომიტეტისა და ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№120 (6346) 6 ოქტომბერი 1990 წელი შაბათი ფასი 3 კაპიკი

გადაჭარბებით შესრულდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს აღებულ ვალდებულებათა შესრულება ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა. წლის დამთავრებამდე სამი თვეღა დარჩა. უკვე იკვეთება, ვინ როგორ მიდის ფინიშისაკენ.

რაიონის ვაჭრობის მუშაკები, მიუხედავად სფეროში შექმნილი სირთულეებისა, სტაბილურად აღწევენ მიცემული გეგმის შესრულებას. განვლილ 9 თვეში რაიონის მოსახლეობას მიეყიდა 7 მილიონ 872 500 მანეთის სამრეწველო და სასურსათო საქონელი გეგმური 7 მილიონ 600 ათასი მანეთის ნაცვლად, რითაც გეგმა 103 პროცენტით იქნა შესრულებული.

გეგმა გადაჭარბებით შეასრულა ალპანის სავაჭრო დარგობრივი გაერთიანების შრომითმა კოლექტივმაც.

რეგისტრაცია დამთავრდა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საოლქო საარჩევნო კომისიაში

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის №79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ცაგერის №79 საარჩევნო ოლქში რეგისტრაციაში გაატარა:

გუგავა ემზარ კონსტანტინეს ძე — დაბადებული 1955 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, ინჟინერ-მექანიკოსი, სკკპ წევრი, სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის ცაგერის რაიკომის პირველი მდივანი, მცხოვრები ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერში (საქართველოს კომუნისტური პარტიისაგან).

ყურაშვილი თამაზ პიმენის ძე — დაბადებული 1937 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უპარტიო, საქართველოს პედიატრიის ინსტიტუტის ბავშვთა ინფექციების განყოფილების ხელმძღვანელი, მცხოვრები ქ. თბილისში (ეროვნულ-ქრისტიანული პარტიისაგან).

ჩარკვიანი გელა ისკანდერის ძე — დაბადებული 1954 წელს, ქართველი, უმაღლესი განათლებით, უპარტიო, საქართველოს სსრ საგეგმო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, მცხოვრები ქ. თბილისში (რუსთაველის საზოგადოებისაგან).

გველესიანი მერაბ იოსების ძე—დაბადებული 1944 წელს, ქართველი, უპარტიო, უმაღლესი განათლებით, ეკონომისტი, ეკონომიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, მცხოვრები ქ. თბილისში (საქართველოს სახალხო ფრონტისაგან).

ლეთოდიანი დიმიტრი სტეფანეს ძე—დაბადებული 1937 წელს, ქართველი, უპარტიო, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის კათედრის მასწავლებელი, მცხოვრები ქ. თბილისში (საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიის და მთიელთა კავშირის ბლოკისაგან).

ადამიანი და სოფელი

გამართლებული იკედი

შემოდგომაა. ოქროსფერმა გადაჰკრა ბუნებას, ჩქარობენ სოფლის მშრომელები, რათა დროზე, მომჭირნეობით, ყოველგვარი დანაკლისის გარეშე დააბინაონ მოწეული მოსავალი. სასიამოვნოა, რომ საქართველოში შექმნილ მეტად დაძაბულ პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ვითარებას ჩვენი სოფლის მშრომელთა ერთეული გარჯა, სასურსათო პროგრამის განხორციელებისათვის განუხრელი ზრუნვა უკავშირდება. ახლა ის დროა, როცა რესპუბლიკის ეკონომიკურ გაჯანსაღებაში ლომის წილი ჩვენმა სოფელმა, მისმა ადამიანებმა უნდა გაიღონ.

მოწინავე მშრომელთა ლაშქარშია ისუნდრელი იაშა მანდარია, კაცი, რომელსაც სერიოზულად აღელვებს ჩვენი დღევანდელობა და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ თავისი წვლილი შეიტანოს ერის ბედნიერი მომავლის საქმეში.

დასაბამიდან შრომით შექმნილი, სიკეთითა და პატიოსნებით აღსავსეა ეს ოჯახი, შრომობენ და ღონლათიც მოსდევთ, რა სახის პირუტყვი არ ჰყავთ ოჯახურ მეურნეობაში—ხარი და ძროხა, ცხენი, ღორი თუ სხვა. ყველაფერს მზრუნველი ხელი უნდა, მაგრამ მეუღლესთან ერთად ყველაფერს ასწრებს, აუდის ეს დროული და აზრიანი მეურნე კაცი. საქმეში ვაჟიშვილებიც ეშველებიან, მაგრამ მაინც ამ დიდი ოჯახის მთელი სიმძიმე მის მხრებზე გადადის.

0,52 ჰექტარი საკარმიდამო მეურნეობა აქვს, 0,38 ჰექტარი კი საბჭოთა მეურნეობისაგან იჯარით აღებული სასიმინდე. თითქოს ბუნებამაც ისმინაო ჩვენი გასაჭირი—შემოდგომის ზეიმია იაშას კარ-მიდამოში, არაფერი სჯობს მტევნებდამძიმებულ ზვარში გავლას, ტოტები ლამის ჩამოტყდება ვაშლის ხეებს.

სწორედ ამას ჰქვია გამართლებული შრომა.

ვის ვანდოთ ერის ბედი?

ახლოვდება საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნები, წარსულს ჩაბარდა დრო, როცა ჩვენთვის სულერთი იყო, ვის ავირჩევდით ეროვნულ პარლამენტში, რამეთუ ეს პარლამენტიც ფაქტიურად აღმსრულებელი იყო საკავშირო მთავრობის დირექტივებისა, დეპუტატობა სახელისა და რეკლამის, განდიდების საქმე იყო და არა ხალხისა და ერისთვის თავგადადებული გარჯა.

ახლა მომავალი დეპუტატიც და ამომრჩეველიც სხვანაირად ფიქრობს. ახალ პარლამენტში ღირსეულად უნდა იყოს წარმოდგენილი რესპუბლიკის ყველა პროგრესული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ძალა. დამთავრდა დეპუტატობის კანდიდატთა რეგისტრაცია. მაგრამ ჩვენთვის, ამომრჩეველთათვის, საზოგადოებისათვის საინტერესოა სხვადასხვა პარტიებისა და ბლოკების წინასაარჩევნო პროგრამები, დეპუტატობის კანდიდატთა პოზიცია, პოლიტიკური კრედო, კონკრეტული სამოქმედო პროგრამა. ყოველივე ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ახლოს გავეცნოთ თითოეული პარტიისა თუ დეპუტატობის კანდიდატის აზრსა და მისგან დანახულ ხვალინდელი საქართველოს პერსპექტივებს.

მოსახლეობას ძალზე აინტერესებს საქართველოს და მისი თითოეული რეგიონის ხვალინდელი ეკონომიკური პორტრეტი, რადგან ეკონომიკის გარეშე თავხსუფალ საქართველოზე ფიქრიც კი არ შეგვიძლია.

—ნებისმიერ ქართველს აღელვებს: კრიზისიდან რომ თავი დავაღწიოთ, რომელი პროდუქციის გამოშვებაზე ავიღოთ აქცენტი. ამას სჭირდება არგუმენტირებული ანალიზი, უნდა განისაზღვროს ბაზარი, თუ სად, როგორ, რა გავყიდოთ და რას მივიღებთ სანაცვლოდ.

—საჭიროა არჩევნების წინ შესაბამისმა პარტიამ გაგვიკეთოს ინფორმაცია, სოფლის მეურნეობის რომელი დარგი ესახება რენტაბელურად და რომელი ზარალიანად, რა საშუალებით უნდა მივაღწიოთ დანახარჯების შემცირებას, შემოსავლის გადიდებას.

—თავისთავად ცხადია, საბაზრო ეკონომიკა ვერ მოითმენს არარენტაბელურ საწარმო ორგანიზაციებს, პროფილებს. აქედან გამომდინარე გარდაუვალია მათი დახურვა, რასაც უმუშევრობა მოჰყვება. როგორ უყურებენ ამ არასასიამოვნო რეალობას პარტიის ლიდერები და რა პასუხები აქვთ მზად.

—იმისათვის, რომ რესპუბლიკის ეკონომიკა იყოს ჯანსაღი, უნდა მოხდეს საქონლის გაცვლა. ე. ი. გატანილი რესურს-პროდუქციის სანაცვლოდ იმის შემოტანა, რაც უპირატესად გვჭირდება. აქ კი ყველაფერი დამოკიდებულია ქართული პროდუქციის ხარისხზე, რა გზები ჩანს ხარისხის გაუმჯობესების თვალსაზრისით, რომ ქართული დამღით გამოშვებული პროდუქცია შეესაბამებოდეს მსოფლიო სტანდარტებს.

—ეთნოკრიზისი საქართველოს ყველაზე მტკივნეული იარაა. როგორ ფიქრობენ მის დადებითად გადაწყვეტას, როგორია აქა თუ იმ პარტიისა და ბლოკის პლატფორმა.

—ხალხში ლაპარაკია ფულის ნიშნების შეცვლის აუცილებლობაზე. ესეც აინტერესებთ ჩვენს ამომრჩევლებს.

პროგრამა, რომელიც შემოგვთავაზა საქართველოს კომპარტიამ ეროვნული განვითარების კონცეფციისა და პარტიის პროგრამისა და ორგანიზაციულ-სტრუქტურული წყობის ძირითადი დებულებების პროექტის მიხედვით, უკვე აღარ არის ძველებური. ზოგიერთი მას თანამედროვე სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი მიმდინარეობის იდეოლოგიადაც თვლის. ჩვენთვის, გარდამავალ ეტაპზე მყოფი საქართველოში მცხოვრებ თითოეული ქართველისათვის, ვიმეორებ დიდი მნიშვნელობა აქვს რომელი მსოფლმხედველობისაკენ, თეორიული პლატფორმისაკენ იხრება ესა თუ ის პარტია, დეპუტატობის კანდიდატი. საქართველოს კომპარტია წინასაარჩევნო პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მომავალ პარლამენტში იგი წარმოგვიდგება ეროვნული ინტერესების, რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სულისკვეთების აქტიურად გამომხატველი, მოითხოვს საქართველოს ახალი კონსტიტუციის შემუშავებას და მიღებას, საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, მისი მთლიანობის განუხრელ დაცვას..

კომპარტიის პლატფორმა იმიტომ კი არ მოგვყავს მაგალითად, რომ ამით მის პრიორიტეტს გამოვხატავდეთ ან რეკლამას ვუკეთებდით, არა, ის ვეებერთელა და მძლავრი პარტიაა მთელს რესპუბლიკაში, მას ჯერ კიდევ აქვს ნდობა და ზეგავლენა ადამიანთა დიდ ნაწილზე. დღის კი საქართველოში იმდენი პარტია და ორგანიზაციაა. ზოგიც პატარა, რომ მკითხველს უჭირს ორიენტირება მათი ღვაწლისა და შესაძლებლობების განსაზღვრისა. ამიტომ ამ პარტიების პლატფორმები და საკეთებელი საჯაროდ უნდა ვიცოდეთ ყველამ, ამის შემდეგ შეგვიძლია გავარკვიოთ ვის მივცეთ ხმა, ვის ვანდოთ ჩვენი მრავალტანჯული ერის ბედი და მომავალი, მისი მართვა და წინამძღოლობა.

მ. ჭელაძე.

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

საქართველოს უზენაეს საბჭოში დეპუტატთა არჩევნების ცაგერის № 79 საარჩევნო ოლქის საუბნო საარჩევნო კომისიების შექმნის შესახებ

ქვედა ცაგერის საარჩევნო უბანი №23

კომისიის თავმჯდომარე—**თამაზ რუბენის ძე ბენდელიანი**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**თემურ სოგრატის ძე ჩოგოლიანი**—ცაგერის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციისაგან.

კომისიის მდივანი—**თინა ოთარის ასული ლეთოდიანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

წევრები:

ნანა ღუღუნის ასული შკუბულიანი—ქვედა ცაგერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ლუბა ბესარიონის ასული გუგავა—ქვედა ცაგერის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისაგან.

გრიშა ზოსიმეს ძე შკუბულიანი—ქვედა ცაგერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ლოლა აბელის ასული კოპალიანი—გვესოს ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ნანა ამბერკის ასული ცვარიანი—გვესოს ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ნათელა ამბროსის ასული საღინაძე—ქვედა ცაგერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თამაზ გრიშას ძე ბენდელიანი—ქვედა ცაგერის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ნათელა შარდენის ასული კოპალიანი—ქვედა ცაგერის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ლუხვანოს საარჩევნო უბანი №24

კომისიის თავმჯდომარე—**ვანო დავითის ძე საღინაძე**—ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ავთანდილ ჭიჭიკოს ძე კოპალიანი**—ლუხვანოს არასრული საშუალო სკოლის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

კომისიის მდივანი—**ლია ლევანის ასული ჩიქოვანი**—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

წევრები:

მელორ შალვას ძე ბენდელიანი—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

მაყვალა ვასილის ასული ლეთოდიანი—ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ნელი ნიკოლოზის ასული მუკვანი—ლუხვანოს ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

მარინე სამსონის ასული ხეცურიანი—ლუხვანოს სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

წიფერჩის საარჩევნო უბანი №25

კომისიის თავმჯდომარე—**ჯიმშერ გიორგის ძე ხაბულიანი**—წიფერჩის ტერიტორიული პარტიული ორგანიზაციისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**მერაბ გალაქტიონის ძე ქომეთიანი**—ბარდნალის საშუალო სკოლის პარტიული ორგანიზაციისაგან.

კომისიის მდივანი—**ლეილა ივანეს ასული ბენიძე**—წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

წევრები:

ლარისა გიორგის ასული ფუტკარაძე — ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

გია მიხეილის ძე ჩარკვიანი—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

ეორა გრიგოლის ძე ფრუიძე—წიფერჩის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

მანანა გიორგის ასული ხეცურიანი—ლარჩვალის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ჩქუმის საარჩევნო უბანი №26

კომისიის თავმჯდომარე—**უჩა სამსონის ძე ლიპარტელიანი**—ჩქუმის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**ბადრი ალექსანდრეს ძე თუთისანი**—ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

კომისიის მდივანი—**მარინე რუბენის ასული დავითულიანი**—ჩქუმის არასრული საშუალო სკოლის პირველადი პარტიული ორგანიზაციისაგან.

წევრები:

აბელ ერმილეს ძე სვანიძე—ქულბაქის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ეთერ ალექსანდრეს ასული ლიპარტელიანი—წიფერჩის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ზუგის საარჩევნო უბანი №27

კომისიის თავმჯდომარე—**ვარლამ ალიმის ძე ჩაკვეტაძე**—ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**გიგლა ინდიკოს ძე ბენიძე**—ზუბის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი—**ინეზა საშას ასული ბენიძე**—ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

წევრები:

მანანა გრიგოლის ასული მამარდაშვილი — წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

ფატი ზაურის ასული ყურაშვილი—ზუბის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

იური ინდიკოს ძე ომანაძე—ზუბის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

მამუკა რუბენის ძე ჩაკვეტაძე—ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

ისუნდრის საარჩევნო უბანი №28

კომისიის თავმჯდომარე—**ზურაბ დუშას ძე აკობიძე**—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**მურად კაპიტონის ძე კუხალაშვილი**—ისუნდრის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

კომისიის მდივანი—**მთვარისა ავდიდოს ასული ბენდელიანი** — ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

წევრები:

თინა თადეოზის ასული ქურციკიძე—ისუნდრის არასრული საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

თამარ ნესტორის ასული საღინაძე—ზუბის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ოყურეშის საარჩევნო უბანი №29

კომისიის თავმჯდომარე—**ბესარიონ იოსების ძე ეფაძე**—ოყურეშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

თავმჯდომარის მოადგილე—**თემურ ეორას ძე ყურაშვილი**—ოყურეშის საშუალო სკოლის პროფკავშირული ორგანიზაციისაგან.

კომისიის მდივანი—**ნელი შალვას ასული ჩხეტიანი**—ოყურეშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

წევრები:

გია დადაშის ძე მამარდაშვილი—წმინდა ილია მართლის საზოგადოებისაგან.

დალი ანზორის ასული უგრეხელიძე — ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან.

ჯენი ალიოშას ასული ყურაშვილი—ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

გაიოზ გიორგის ძე მუშკუდიანი—ოყურეშის სასოფლო საბჭოს მუშა-მოსამსახურეებისაგან.

ზურაბ ნოდარის ძე მამარდაშვილი—ოყურეშის ამომრჩეველთა ჯგუფისაგან.

ეთერ ივანეს ასული ჩაკვეტაძე—ოყურეშის საექიმო უბნის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

გ. ვ. ხეცურიანი

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი

ა. დ. საღინაძე

(დასასრული. დასაწყისი იხ. „ლეჩხუმი" №119).

ჩვენი წარდგინება

საქართველოს თავისუფალ - დემოკრატთა კავშირი

საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი დაფუძნდა 1990 წლის 25 ივნისს, თუმცა მასში გაერთიანებული ადამიანები კარგა ხანია, რაც აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწევიან—ბევრი მათგანი იყო სახალხო ფრონტის შექმნის ინიციატორი. ძირითადად კი ეს ორგანიზაცია თბილისის პოლიტიკური კლუბის ბაზაზე ჩამოყალიბდა. აქვს ბემდვითი ორგანო—გაზეთი „პოლიტიკა". საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი შედის ბლოკში „დემოკრატიული საქართველო", რომელმაც მონაწილეობა მიიღო ეროვნული კონგრესის არჩევნებში, ხოლო ამჟამად მონაწილეობს საქართველოს უზენაესი საბჭოს არჩევნებში.

დღეს საქართველოში 100-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა, საარჩევნო კომისიაში კი რეგისტრაცია მხოლოდ 35-მა პოლიტიკურმა ორგანიზაციამ გაიარა, თუმცა არის რამდენიმე მნიშვნელოვანი, ძლიერი პოლიტიკური ძალა, რომლებიც რეგისტრირებული არ არის.

საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი სხვა პოლიტიკური პარტიებისა თუ ორგანიზაციებისაგან განსხვავდება იმით, რომ იგი პრიორიტეტს ანიჭებს პიროვნების თავისუფლებას. მის საპროგრამო პრინციპებში მკაცრადაა გათვალისწინებული, რომ უმრავლესობის ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პიროვნების თავისუფლება ხელშეუხებელი უნდა იყოს, მისი მიზანია თავისუფალი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, სადაც თავისუფალი მოქალაქეები თავად წარმართავენ ცხოვრებას ბუნებრივი კანონზომიერების მიხედვით. იგი რადიკალურ ოპოზიციაშია დღეს არსებული როგორც საზოგადოებრივი, ისე პოლიტიკური ცხოვრების მიმართ. ეს რადიკალიზმი არ შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის მოთხოვნით. იგი მოითხოვს საქართველოში რადიკალურად განსხვავებული საზოგადოების შექმნას, რომელიც უპირველესად დაეფუძნება პიროვნების თავისუფლების პრინციპის უზენაესობას საზოგადოებრივი ცხოვრების ნებისმიერ სფეროში. აქედან გამომდინარე, ეკონომიკამაც უნდა უზრუნველყოს პიროვნების უფლებების რეალიზაცია, ამიტომაც პრიორიტეტს კერძო საკუთრებას ანიჭებენ. მათი აზრით, საქართველოს სიმდიდრის მნიშვნელოვანი ნაწილი უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს საქართველოს მოქალაქეს კერძო მფლობელობაში.

რაც შეეხება დანარჩენ პრინციპებს,—საქართველოს სრული დამოუკიდებლობა, სახელმწიფოებრივი ცხოვრების დემოკრატიული წესით მოწყობა, ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლება, შემოქმედებითი თავისუფლება, ეროვნული და რელიგიური შემწყნარებლობა—მათგან უმეტესობას ჩვენში არსებული ბევრი პოლიტიკური ორგანიზაციის პროგრამაშიც ნახავთ. გარდა ამისა თავისუფალ დემოკრატთა კავშირს მიუღებლად მიაჩნია დიქტატი და ავტორიტარიზმი საზოგადოებრივი ცხოვრების, სახელმწიფოს პოლიტიკის წარმართვაში. მათი პოზიციაა—სტრატეგია, სამართლიანობა, ხოლო ტაქტიკა—სიმართლე.

დღეს, როდესაც საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ პოლიტიკური ხასიათი მიიღო, თავისუფალ დემოკრატთა კავშირის აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს, თუ მასში

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ჯანსაღი კრიტიკა თუ დემაგოგია?

რეზონანსი

●

გაზეთ „ლეჩხუმის“ 1990 წლის 13 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი სათაურით— „შეხვედრა პარტიის რაიკომში“, სადაც აღწერილია 5 სექტემბერს სახალხო დეპუტატთა ცაგერის რაიონული საბჭოს თავმჯდომარესთან ე. კ. გუგავასთან რაიონში მყოფ უმუშევარ ახალგაზრდა—სპეციალისტებთან შეხვედრა. შეხვედრა მოუმზადებია და უმუშევარ სპეციალისტთა კოხტიგენტი დაუდგენია ახალგაზრდული კავშირის რაიონულ ორგანიზაციას. მართლაც რომ შესანიშნავი და საშური წამოწყებაა.

რაიონში მცხოვრებ 63 (წერილში ეს ციფრია დასახელებული) უმუშევარ ახალგაზრდა სპეციალისტებიდან, თითქოს ერთი ნაწილი პედაგოგია. სინამდვილეში არც წინა წლებში და არც ამჟამად რაიონში უმუშევარი პედაგოგი-სპეციალისტი არ გვყოლია და არც ახლა გვყავს, ყველასათვის ცნობილი რომ იყოს სპეციალისტებად ითვლებიან უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე პირები და მე-4 და მე-5 კურსის სტუდენტები.

მივყვეთ წერილის შინაარსს „ახალგაზრდობის კავშირმა, რომელმაც თავს იდო ზრუნვა რაიონის ახალგაზრდა სპეციალისტთა დასაქმებაზე, გადაწყვიტა მოეწყო შეხვედრა. ამ ორგანიზაციის სათათბიროს წევრები იმედოვნებდნენ, — ვკითხულობთ წერილში, რომ ღონისძიება რეალურ შედეგს მოიტანდა... შეხვედრას შედეგი არ მოჰყვა. უიმედობაში ჩავარდა სათათბიროს თავმჯდომარე, სამუშაოზე მოწყობის იმედი დაკარგა უმუშევარმა სპეციალისტებმა“. აღნიშნული ღონისძიება თავიდან იყო განწირული უშედეგოდ დამთავრებისათვის. ჯერ ერთი შეხვედრაზე მოიწვიეს რაიონში დაუსაქმებელ სპეციალისტებთან ერთად არასპეციალისტები და ყველა მონათლეს სპეციალისტებად. მეორე,—წინასწარ, განათლების განყოფილებასთან ერთად არ იყო შესწავლილი, თუ რაიონის სასწავლო დაწესებულებებში რა შესაძლებლობა იყო უმუშევარი სპეციალისტების, თუ არასპეციალისტების დასაქმებისათვის. რაც მთავარია ღონისძიება იყო ცალმხრივი. შეხვედრაზე არ მოიწვიეს მოპირდაპირე მხარე, წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელები. მათი დასწრების გარეშე რა აზრი ჰქონდა შეხვედრას, დანარჩენი სფეროების შესახებ არ ვიცი, მაგრამ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა, იმ 5 სექტემბრის ეგრეთწოდებული შეხვედრის მომზადების და ჩატარების პერიოდში, სადაც სახალხო განათლების სისტემის უმუშევარი „სპეციალისტების“ ბედი წყდებოდა და უშედეგოდ დამთავრდა, ჩვენ იმ დროს სწავლა-აღზრდის სხვა საქმესთან ერთად პრაქტიკულად ვწყვეტდით უმუშევარ ახალგაზრდა სპეციალისტთა და არა სპეციალისტთა დასაქმების საკითხს. წელს, მარტო სექტემბრის თვეში განათლების სისტემის რაიონულ რგოლში დასაქმდა ახალგაზრდა სპეციალისტები და საშუალო განათლების მქონე პერსპექტიული ახალგაზრდები სულ 25.

როგორც 13 სექტემბრის პუბლიკაციიდან ჩანს, შეხვედრაზე რაიონის წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელების მიმართ გამოითქვა ბევრი პრეტენზია, და პრეტენზია ცოტაა, მათ მიერ, თურმე ხდება ახალგაზრდა სპეციალისტების დასაქმების საქმეში ნეგატური ფაქტების დაშვება. და ამ მომენტში თათბირზე წარმოიშვა აზრი, რომ „ამგვარ შეხვედრებს ისინიც (წარმოება დაწესებულების ხელმძღვანელები) უნდა ესწრებოდნენ“, კარგ დროს გაგხსენებივართ. ბარაქალა თქვენ, ასეთი ღონისძიებისათვის. რატომ გწყდებათ გული უშედეგობისათვის?

საბოლოოდ შეხვედრის მოხაწილენი შეთანხმდნენ—ვკითხულობთ წერილში, რომ მეორე დღეს შეხვედროდნენ განათლების განყოფილების ხელმძღვანელობას“. ესეც საკითხავია, რატომ მაინც განათლების განყოფილების ხელმძღვანელობას? რატომ და თითქოს „სკოლებში მუშაობს საშუალო განათლების მქონე ბევრი არასპეციალისტი. განათლების განყოფილებიდან უარით ისტუმრებენ უმაღლესი განათლების მქონე პირებს, იმ მოტივით ინჟინრებს, ტექნიკოსებს არ შეუძლიათ ასწავლონ სკოლებში“. რბილად რომ ვთქვათ, როგორი უხარიანიც არ უნდა იყოს რა ცოდვაა საქმეში ჩაუხედავი კაცი, სხვასაც ზიანს აყენებენ და თავისთავსაც. ამის დამადასტურებელ აზრს ქვემოთ მოგახსენებთ.

როდესაც მასწავლებლის უყოლობის გამო გაკვეთილები გვიცდება და მრავალგზის ღონისძიების გატარებით სპეციალისტს ვერ მოვიზიდავთ, პენსიონერიც, რომ არ გვყავს მოსაწვევი, ამ დროს სოფლის სკოლის ქვედა კლასებში მართლაც შეგვყავს, შერჩევით, საშუალო სკოლის წარჩინებული, პერსპექტიული კურსდამთავრებული ახალგაზრდები. როგორც ხედავთ ეს კარგი მდგომარეობით არ არის გამოწვეული. ამიტომ განათლების სამინისტრომ მთიანი რაიონებისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, დაუშვა ეს ნებართვა. საშუალო სკოლა დამთავრებულის სკოლაში შეყვანის წესი ასეთია: სკოლის დირექტორი წარმოადგენს თხოვნას კადრის უყოლობის შესახებ, როდესაც სათანადო კადრი არ არის. ამ შემთხვევაში სკოლის დირექციის წარდგინებით დაუსწრებელი სწავლების სტუდენტს, თუ საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდას შეხვდება განათლების განყოფილების სპეციალისტი, სპეციალისტის დასკვნით და დირექციის შუამდგომლობით წყდება ახალგაზრდის სკოლაში შეყვანის საკითხი. სკოლის დირექტორის მიერ იწერება ბრძანება შინაარსით—დაინიშნოს დროებით სპეციალისტის გამონახვამდე. არასპეციალისტების დანიშვნის თაობაზე სისტემატიურად წერილობით ხსენდება განათლების სამინისტროს. ბოლო წლების (წლევანდელის გარდა) განმავლობაში რაიონის სკოლებში, ამ წესით დაინიშნა 34 არასპეციალისტი ახალგაზრდა, მათგან უმრავლესობა (22) დღეისათვის ჩაბმულია დაუსწრებელ სწავლებაში.

ჩვენ გვსაყვედურობენ, იქ სადაც ე. ი. დაწყებით კლასებში საშუალო განათლების მქონე გოგონებს ნიშნავთ, რატომ ეუბნებით უარს უმაღლესი განათლების მქონე ინჟინრებს და ტექნოლოგებსო. სწორია დაწყებით კლასებში ინჟინრებს ვერ შევიყვანთ, ამის უფლება არ გვაქვს, ობიექტური მიზეზების გამო.

რაც შეეხება ზედა კლასებში ინჟინრების, აგრონომების მასწავლებლებად შეყვანას, ვინ გითხრათ, რომ არ შეგვყავს, შეგვყავს, მაგრამ ეს ხომ პედაგოგ-სპეციალისტების დეფიციტითაა გამოწვეული. ინჟინერ-ტექნოლოგები ასწავლიან ქიმიას ლაცორიის, ჩხუტალის, ლასურიაშის, ბარდნალის საშუალო სკოლებში. ტექნიკურ შრომას ტვიშის, ოყურეშის საშუალო სკოლებში. ამ ჩვენი გასაჭირის შესახებ ყოველ თვეში მოვახსენებთ განათლების სამინისტროს. ახლა ლაცორიის სკოლისათვის ვეძებთ ფიზიკოსს, თუ პედაგოგი სპეციალისტი ვერ მოვნახეთ იძულებული გავხდებით ინჟინერზე შევჩერდეთ თუ შეძლებს ფიზიკის სწავლებას.

რაიკომში შეხვედრის მეორე დღეს 6 სექტემბერს პარტიის რაიკომიდან მეძახიან—განათლების განყოფილებაში დღეს მობრძანდება რაიკომის პირველი მდივანი ე. გუგავა, ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა და უმუშევარი სპეციალისტები. რა თქმა უნდა მივესალმე სტუმრების მობრძანებას, თან გაკვირვება ვერ დავმალე, როდესაც მეუბნებიან „უმუშევარი სპეციალისტებიო“. მე ვიფიქრე,—ახალი სასწავლო წლისათვის სიურპრიზი მომიმზადეს,—სპეციალისტები, რომლებიც სოფლებში გვაკლია მათ იზრუნეს და მოჰყავთ მეთქი.

სტუმრებს განყოფილებაში დავახვედრე რაიონის სასწავლო დაწესებულებების ყველა ხელმძღვანელი, განათლების განყოფილების ხელმძღვანელობა. რა მოხდა?—სპეციალისტებად წარმომიდგინეს წელს რომ ჩვენი რეკომენდაციით პედაგოგიურ ინსტიტუტებში ჩაერიცხეს და ჯერ ერთი ლექციაც არ მოუსმენიათ, ასეთი ორი ახალგაზრდა. ბიბლიოგრაფიული სპეციალობით წლევანდელი უმაღლეს დამთავრებული ერთი ახალგაზრდა, რომელიც ძირითადად კულტურის სისტემაში უნდა დასაქმებულიყო, რადგან სკოლებში, გამონაკლისის გარდა შტატით არ არის ბიბლიოთეკარის ადგილი. სადაც არის იქ ვაკანსია არ გვქონდა და დაუსწრებელი სწავლების მეტყევე-დეკორატორი სტუდენტი, აი ამათ უწოდეს განათლების სისტემისათვის „სპეციალისტები“, მე მგონია აქ კომენტარი საჭირო არ არის.

აქ ჩვენთან შეხვედრაზე წარმოდგენილ უმუშევარ ახალგაზრდებს განემარტათ თუ ისინი რა „სპეციალისტები“ არიან, და მიეცათ წინადადება, რომ სოფლის სკოლების დაწყებით კლასებში არსებული თავისუფალ ადგილებზე, თუ სპეციალისტებს ვერ მოვნახავთ, საშუალო განათლების მქონე ახალგაზრდების ზემოდ აღნიშნული დანიშვნის წესით თქვენც დაინიშნებით სკოლებშითქო, ჩვენს ამ წინადადებას ახალგაზრდები დუმილით შეხვდნენ. მეორე დღეს განათლების განყოფილებაში მოდის შეხვედრის მონაწილე ერთ-ერთი უმუშევარი ახალგაზრდის მშობელი და მთხოვს—„ჩემი შვილი სოფელში ვერ წავა გთხოვთ ქალაქის, რომელიმე სასწავლო დაწესებულებაში დაასაქმეთო“. ჯერ უმაღლეს სასწავლებელში არ მოწყობილან და უმართებულო პრეტენზიები. აი სად გჭირდება ახალგაზრდებთან მუშაობა.

ცნობისათვის — შეხვედრაზე წარმოდგენილ ორ უმუშევარ სტუდენტს ჩვენთან დასაქმებაზე სხვა დროს არ მოუკითხავს ახალგაზრდობის კავშირის ორგანიზაციის ხელმძღვანელებს. უუშევარი ახალგაზრდების დასაქმების თაობაზე ერთხელ სხვა დროს საკითხი არ დაუყენებიათ, თუმცა ჩვენ, ჩვენი მოვალეობით და პასუხისმგებლობით ვზრუნავდით რაიონში ახალგაზრდების აღზრდასა და დასაქმებისათვის.

საგაზეთო წერილის ბოლო აბზაცში ვკითხულობთ ახალგაზრდობის ხელმძღვანელობის ხელმძღვანელის აზრს—„დღეს დავრწმუნდი, რომ ახალგაზრდობაზე რაიონში არავინ ზრუნავს“. მართლაც გულსაწყვეტია, რომ სახალხო განათლების განყოფილებისა და სკოლების გარდა რაიონში თითქმის არავინ ზრუნავს ახალგაზრდებისათვის. რაიონის სახალხო განათლების რგოლი, მიუხედავად მრავალმხრივი სიძნელეებისა, გამონაკლისის გარდა თავდადებულად ზრუნავს ლეჩხუმელი ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდისათვის და შედეგსაც აღწევს. ტრადიციულად ჩვენი რაიონის ახალგაზრდების ერთი ნაწილი საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს სპეციალობის მისაღებად, მეორე ნაწილი საქმდება მცირე რაოდენობით რაიონში, დანარჩენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში. მათგან იშვიათად გვესმის ცუდი, ბევრმა კი გვასახელა ეს ყველას კარგად მოგეხსენებათ.

რაც შეეხება თვით სისტემაში ახალგაზრდა სპეციალისტების და არასპეციალისტების დასაქმებას, ასეთი სურათია ბოლო ხუთ წელიწადში ყოველ წელს საშუალოდ საქმდება 20-25 ახალგაზრდა. სასწავლო დაწესებულებებში ამჟამად 250-ზე მეტი ახალგაზრდა მასწავლებელია, მარტო წელს დასაქმდება 35-ზე მეტი ახალგაზრდა. მაინც ჩვენი მუშაობა საკმარისია? არა. მაგრამ ამის მეათედი გააკეთოს მოწოდებულმა ორგანიზაციებმა და საქმეს ეშველება.

ჩვენს მიერ ახალგაზრდობასთან გატარებული მუშაობისათვის ხარკს არ ვითხოვთ. ეს ჩვენი ვალია და ვეცდებით მომავალში მეტი გავაკეთოთ. მაგრამ თქვენგან—სხვა მოწოდებული ორგანიზაციების გასაგონად ვლაპარაკობ, ჩვენს საერთო საკეთებელ საქმეში თანადგომა თუ არ გვექნება, გირჩევთ დაუზუსტებელი ფაქტებზე ლაპარაკს და წერას შეეშვათ, საღი კრიტიკა ყოველთვის მისაღებია, მაგრამ ჩვენ რთულ და არაადამიანურ შრომას, დემაგოგია ესაჭიროება? ეს ხომ გულის გამტეხია. ჩვენ რა თქმა უნდა გულს არ გავიტეხთ. კვლავ ვაკეთებთ ჩვენს საკეთებელს.

ასაკით უფროსი კაცის რჩევით გეტყოდით,—ნუ აჩქარდებით, ღრმად ჩახედეთ საქმეს. ასჯერ გაზომეთ და ერთხელ გაჭერით. ამით საქმეც მოიგებს და თქვენც.

დ. კოკალიანი,

ცაგერის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების გამგე.

ავტორის თხოვნით ჰონორარი გადაირიცხება რუსთაველის საზოგადოების ანგარიშზე.

ავტორის სტილი დაცულია.

არჩევანი თქვენზეა, ახალგაზრდებო!

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბიროსთან შეიქმნა კლუბი „არჩევანი“.

წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში რეგულარულად მოეწყობა შეხვედრები არჩევნებში მონაწილე პარტიებისა თუ ბლოკების წარმომადგენლებთან.

გთხოვთ აქტიურად ჩაერთოთ ჩვენს მიერ ორგანიზებულ დებატებში.

საქართველოს ახალგაზრდული კავშირის რაიონული ორგანიზაციის სათათბირო.

№120 (6346) 6 ოქტომბერი 1990წ.

საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირი

(დასასრული).

ყველა ჩაერთვება. გამარჯვება ძალუძს მხოლოდ ხალხს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელი ერის მოძრაობად უნდა იქცეს. ასეთ შემთხვევაში ყველა წინააღმდეგობა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის შეიძლება არსებობდეს, უნდა დავიდეს წმინდა პოლიტიკურ ურთიერთობებზე, არავითარ შემთხვევაში—მწვავე კონფრონტაცია. პოლიტიკურმა ძალებმა უნდა მოახერხონ ურთიერთთანამშრომლობა საერთო სახალხო ოპოზიციის შესაქმნელად, რომელიც დაუპირისპირდება საქართველოს გარეთ არსებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინააღმდეგე ძალებს. ამისათვის უმთავრეს პირობად თვლიან პოლიტიკურ სტაბილურობას.

სხვა პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავებით საქართველოს თავისუფალ დემოკრატთა კავშირს არ ჰყავს თავმჯდომარე. ამას იმით ხსნიან, რომ უნდათ დაამკვიდრონ პოლიტიკური ცხოვრების ის ტრადიციები, რომლებიც 70 წლის მანძილზე უცხო იყო საბჭოთა კავშირში შემავალი ყველა ხალხისათვის.

თავისუფალ დემოკრატთა კავშირს მიაჩნია, რომ უზენაესი საბჭოს არჩევნებში უთუოდ უნდა მიიღონ მონაწილეობა, რომ აუცილებელია ხელისუფლების არსებული სტრუქტურების გამოყენება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესების განსახორციელებლად.

რედაქტორი

ნ. ნემსაძე.

განცხადება

მკითხველისთვის უცხო არაა, რომ ლეჩხუმში ეროვნული მოძრაობა დაიწყო ლეჩხუმის სახალხო ფრონტმა და რაც [illegible] მჭიდროდ დაკავშირებული არის ამ ორგანიზაციასთან. მაგრამ გარკვეული მიზეზების გამო საქართველოს სახალხო ფრონტს გამოეყო ერთი ნაწილი და დაარსდა ახალი ორგანიზაცია, რომლის სახელწოდებაა—საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი. ამ ორგანიზაციის ცალკე ერთეულად ჩამოყალიბება იმანაც განაპირობა, რომ საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი გაერთიანდა მრგვალი მაგიდის საარჩევნო ბლოკში, ხოლო საქართველოს სახალხო ფრონტი კი არჩევნებში ცალკე მონაწილეობს.

ამის გამო ლეჩხუმის სახალხო ფრონტი მთლიანად გადავიდა საქართველოს ეროვნული ფრონტი—რადიკალურ კავშირში და ამჟამად ჩვენი ორგანიზაციის სახელწოდებაა — ლეჩხუმის ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი.

ლეჩხუმის ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის გამგეობა.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

ქეთინო ლევანის ასულ კვირკაშვილს
ემზარ შალვას ძე სალინაძეს

გილოცავთ ბედნიერებას. სიხარული და სიყვარული ნუ მოკლებოდეს თქვენს ახლადშექმნილ ოჯახს. გისურვებთ აკვანთა სიმრავლეს.

საშენი მასალების სამეურნეობათშორისო საწარმოს თანამშრომლები.

ნანა გოგიჩაიშვილს
ბაჩუკი ხვადაგიანს

გილოცავთ ბედნიერებას. გისურვებთ ფუძემყიერი, შვილმრავალი ოჯახის შექმნას.

ზოგიშის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი.

ლელა ჯემალის ასულ ჭაბუკიანს
შერმადინ ბორისის ძე ონიანს

გილოცავთ ბედნიერებას. დალოცვილი იყოს თქვენი ფუძე. შვილთა სიმრავლეს გაეხარებინოს თქვენი ოჯახი.

ლასურიაშის საშუალო სკოლის 1988 წლის კურსდამთავრებულები და კლასის ხელმძღვანელი.

იზა ბიჭიკოს ასულ ხეცურიანს
ირაკლი ნიკოლოზის ძე ჩაკვეტაძეს

გილოცავთ ბედნიერებას, სიხარული და სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი, შვილთა სიმრავლეს დაემშვენებინოს თქვენი ახლადშექმნილი ოჯახი.

სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი

გილოცავთ

ძაძუ, რუბენ კოპალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო ვაჟკაცი.

სარაიონო კულტურის სახლის თანამშრომლები.

ნინო, ნუგზარ სალინაძეებს

გილოცავთ შვილის შეძენას. აღზრდილიყოს ერის სასახელო შვილი, კიდევ მრავალი შეგძენოდეთ.

დამზადების გაერთიანების თანამშრომლები

ქეთი გრიგოლის ასულ ჩარკვიანს
ფრიდონ ალექსის ძე უგრეხელიძეს

გილოცავთ ვაჟიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ჯანმრთელი, ქართველი ერის საამაყო მამულიშვილი.

მაკა, ფატი, კახა ჩარკვიანები

დავით კაპიტონის ძე კოპალიანს

გილოცავთ 60 წლის შესრულებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს.

ლასურიაშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი

„მრგვალი მაგიდა"

გიწვევთ

9 ოქტომბერს, სამშაბათს, 15 საათზე „მრგვალი მაგიდა—თავისუფალი საქართველოს" ბლოკის ლეჩხუმის რეგიონალური განყოფილება ცაგერის კულტურის სახლში იწვევს ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირის ყველა წევრს, საუბნო საარჩევნო კომისიებში წმინდა ილია მართლის საზოგადოებისა და ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირისაგან დანიშნულ წარმომადგენლებს, ასევე პირებს, რომელთაც სურთ მონაწილეობა „მრგვალი მაგიდის" საარჩევნო კამპანიაში.

საუბნო საარჩევნო კომისიების ზემოთაღნიშნულ წევრთა დასწრება აუცილებელია.

წმინდა ილია მართლის საზოგადოება

ეროვნული ფრონტი—რადიკალური კავშირი

გამოიწერეთ „ლეჩხუმი"

დაიწყო და 1 ნოემბრამდე გასტანს ხელმოწერა პერიოდულ გამოცემებზე 1991 წლისათვის.

ძვირფასო მკითხველო! ხელმოწერა წარმოებს ჩვენს რაიონულ გაზეთ „ლეჩხუმზე". ხელმოწერები მიიღება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე „სოიუზპეჩატის" რაიონულ განყოფილებასა და კავშირგაბმულობის რაიონული კვანძის სოფლის საფოსტო განყოფილებებში ყოველდღე დილის 9 საათიდან საღამოს 20 საათამდე.

გაზეთი ერთი წლით ღირს 7 მანეთი და 80 კაპიკი, 6 თვით—3 მანეთი და 90 კაპიკი, 3 თვით—ერთი მანეთი და 95 კაპიკი.

უახლოესი მეგობრები კაკო სილაგაძე, ბანჩო გოლეთიანი, ტუხუ, გურამ მანდარიები, ზაურ, გოგი ომანაძეები, იუზა მინდაძე, გივი ახვლედიანი, ბონდო ჰაბუკიანი, ბახვა სალინაძე, ზურაბ ხაბულიანი, გივი ასათიანი, სოსო კუხალაშვილი, რომან, გერონტი კალანდაძეები, სოზარ ცვარიანი, მურთაზ ბერიძე, ტარიელ დავითულიანი, გივი ქარსელაძე, პარსონ ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს

ცაგერის საშუალო სკოლის VII-ბ კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი მაყვალა კოპალიანი თანაუგრძნობენ რომეო მანდარიას მამის

რომან მექის ძე მანდარიას

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები ვილგემ მეშველიანი, ჯუმბერ, ანზორ სალინაძეები, დათო გიორბელიძე, ნორა ჯანელიძე, დათო მუშკუდიანი, მეთოდე, მურთაზ მუცხვალაძეები, ჟორა, ჯიმშერ ახვლედიანები, გურამ კოპალიანი, გივი ასათიანი, დათო მიქაძე, თემურ ყურაშვილი, დავით სვანიძე, ზაურ ომანაძე, პარიმონ, თამაზ ხეცურიანები, ბუჭუ მამარდაშვილი, ბიჭიკო ქარსელაძე, ალექსი ხაბულიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლენა, ბიტუ მეშველიანებს ძმისა და ცოლისძმის

რომან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

სევარიონ, კარლო მუშკუდიანები ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მანდარია

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

დედა გოკუცა, მეუღლე ქენია ბობოხიძე, შვილები ლაშა, ლელა, ლანა, დები ლალი, ნანი, სიძეები ზაურ სვანიძე, ზურაბ ქურციკიძე, რძლები ნიურა, თინა, ბიძები ინდიკო ბურჯალიანი, აქსენტი ქარსელაძე, მამიდები ნატა, ელენე, ნინა, დეიდები დომიკო, გულა, ბიცოლა თალიკო, სიდედრი თინა, ცოლისდები იზო, ნათელა, ნინელი ბობოხიძეები, ქვისლები ბახვა კოპალიანი, ანზორ მუშკუდიანი, ლერი ხუხია, დეიდაშვილები, მამიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

გივი ალექსის ძე ბურჯალიანი.

პანაშვიდი ყოველდღე 17 საათიდან, დაკრძალვა 13 ოქტომბერს, შაბათს, სოფ. ორბელში.

იზო, ნანა, გიზო კალანდაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მექის ძე მანდარია

შოთა, რომან ლომთაძეები, მიშა ლიპარტელიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ლია გუგავას მეუღლის

რომან მანდარიას

გარდაცვალების გამო.

დიტო გოგიძე, კობა კოპალიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რომან მანდარია

ჩვენი მისამართი: 384100 ცაგერი, ლენინის ქ. №56. **ტელეფონები:** რედაქტორის—22-31, რედაქტორის მოადგილის — 22-35, პასუხისმგებელი მდივნის—22-34, სახალხო მეურნეობის განყოფილების—22-36, მშრომელთა წერილების განყოფილების—22-41 საკორექტოროს—22-43. სტამბის დირექტორის—22-17, საამწყობრო საამქროს—22-23, გაზეთი გამოდის სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს, **შეკვეთა** №105, ტირაჟი 4483

საქართველოს სსრ ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.